**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი**

## მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების /მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული რეგულაციების განსაზღვრა.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისწინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ საბაკალავრო პროგრამაზე აბარებს გამოცდას - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი /სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
3. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით აბარებს - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენას.
4. გამოცდა ენაში/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულას).
5. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისია.

6. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.

7. მაგისტრატურაში მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით.
8. ფაკულტეტის მიერ ინფორმაცია პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.
9. ფაკულტეტის წარდგინება ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.

**მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა**

1. ერთიანი ეროვნული /საერთოსამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო /სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩასარიცხთათვის გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვროს ივლისის თვე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში ჩასარიცხთათვის - იანვრის თვე.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდების ჩატარების ვადად ასევე განისაზღვრება საერთო სამაგისტრო გამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო პერიოდი.

3. იმ აბიტურიენტის /სტუდენტის/ მაგისტრანტობის კანდიდატის, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი /სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატისთვის გამოცდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში ჩატარდება საბუთების მიღების დამთავრებიდან 1 კვირის ვადაში.

5. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას უზრუნველყოფს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასების სიზუსტეზე.

6. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

**დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 მაისის სხდომის N3 ოქმით**